



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
მორიგი სხდომის

№ 8

ქ. ბათუმი

2018 წლის 29 მაისი
11⁰⁰ საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - სულიკო თებიძე

მ ს ჟ რ ე ბ ო ღ ნ ე ნ :

თამაზ სალუქვაძე	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
ლაშა სირაბიძე	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
გოჩა მგელაძე	საკრებულოს ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის თავმჯდომარე;
ირაკლი პატარიძე	საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
ზურაბ ნაკაიძე	საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისიის თავმჯდომარე;
დimitრი ჭეიშვილი	საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
ომარ მახარაძე	საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
ნატალია ზოიძე	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე;

ბესარიონ გოგოტიშვილი	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე;
ანზორ დევაძე	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ თავმჯდომარე;
ნატალია ძიძიგური	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარე;
ნერიმან ცინცაძე	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარის მოადგილე;
მირდატ ქამადაძე	საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე;
ნოდარ დუმბაძე	საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილე;
დავით მახარაძე	საკრებულოს წევრი;
თამაზ დევაძე	საკრებულოს წევრი;
ელგუჯა ანდრიაძე	საკრებულოს წევრი;
არჩილ მამულაძე	საკრებულოს წევრი;
მუხამედ ართმელაძე	საკრებულოს წევრი;
როინ ზოიძე	საკრებულოს წევრი;
ირაკლი თოფურიძე	საკრებულოს წევრი;
რაულ თავართქილაძე	საკრებულოს წევრი;
ლევან ანთაძე	საკრებულოს წევრი;
არ ესწრებოდა:	
ირაკლი მიქელაძე	საკრებულოს წევრი;

სხდომას ესწრებოდნენ:

- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი - ლ. კომახიძე;
- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი - ა. ვანაძე;
- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსი - ე. ლომაძე;
- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსის მ/შ - მ. მეტრეველი;
- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის ქალაქგეგმარების განყოფილების უფროსი - მ. რამიშვილი;
- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და ეკონომიკური პოლიტიკის სამსახურის საქალაქო ტრანსპორტის განყოფილების უფროსი - ე. ქავჭარაძე;
- პეტიციის წარმომდგენი - მ. ნაკაშიძე;
- ქ. ბათუმი, წერეთლის ქუჩის გარე მოვაჭრეები;

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოქმედი რეგლამენტით გათვალისწინებული საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეები: საკრებულოს აპარატის უფროსი-რაულ ბოლქვაძე; საკრებულოს იურიდიული განყოფილების უფროსი - სულიკო შვენთიძე; საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - მადონა თურმანიძე, ამავე განყოფილების უფროსი სპეციალისტი - მზევეინარ წულუკიძე; მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი: ლელა ნემსაძე და ამავე განყოფილების უფროსი სპეციალისტი ბადრი წულუკიძე.

პრესისა და მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე ს. თებიძე სხდომის მონაწილეებს მიესალმა და აღნიშნა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებულია 15 საკითხის განხილვა. პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებით სიტყვა გადასცა საკრებულოს წევრებს.

საკრებულოს წევრმა ლ. სირაბიძემ წამოაყენა წინადადება დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-2 საკითხის პირველ საკითხად განხილვის თაობაზე, რადგან ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა ქალაქისთვის მნიშვნელოვანი საკითხია.

საკრებულოს წევრმა ლ. ანთაძემ აღნიშნა, რომ საფინანსო, ეკონომიკური და ინფრასტრუქტურის განვითარების გაერთიანებულ სხდომაზე განხილული იქნა „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M2 კატეგორიის ავტობუსებისათვის სამარშრუტო ხაზებისა და მარშრუტების სქემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რომელიც კომისიის გადაწყვეტილებით გადაიდო განხილვისათვის ერთი კვირით, თუმცა დღეს დღის წესრიგშია.

საკრებულოს წევრმა ნ. ზოიძემ აღნიშნა, რომ ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ ინიციატივით მოეწყო ორგანიზაციებთან შეხვედრა, თითოეული სქემა განხილული იქნა, რის საფუძველზეც შენიშვნებს საკითხის განხილვისას წარმოადგენენ. დღეს ჩატარდა საკრებულოს ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის სხდომა და წარმოდგენილია კომისიის დადებითი დასკვნა.

საკრებულოს წევრმა მ. ქამადაძემ გააკეთა განცხადება ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ შემოტანილი მიმართვის პროექტის დღის წესრიგში დამატების თაობაზე, რომელიც მოქმედი კანონმდებლობისა და ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე წარმოადგინეს მიმართვის პროექტი შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ, 30 აპრილს, ციხისძირში გამართულ მშვიდობიან აქციაზე ბათუმისა და ქობულეთის გამომიებისა და დამნაშავეთა პასუხისგებაში მიცემის თაობაზე. საკრებულომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, რომ დასაგმობია ყოველგვარი ძალადობა, მიუხედავად იმისა, თუ რომელი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელია ძალადობის მსხვერპლი.

საკრებულოს წევრმა დ. ჭეიშვილმა აღნიშნა, რომ კადრებს, რომელსაც ხედავს, უწევს წარსულში დაბრუნება. დამნაშავეები გამოვლენილი იქნება დასასჯელად.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საკრებულო არ არის უფლებამოსილი და კომპეტენტური ორგანო იმისათვის, რომ განიხილოს მსგავსი საკითხები და გააკეთოს მიმართვები სამართალდამცავი ორგანოების მიმართ,

საკრებულოს წევრმა ლ. ანთაძემ წამოაყენა წინადადება დღის წესრიგით გათვალისწინებული „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №34 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის ამოღების თაობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ მ. ქამადაძის წინადადება დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: - 24 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 6 (რ. თავართქილაძე, ა. მამულაძე, მ. ქამადაძე, ნ. დუმბაძე, რ. ზოიძე, ლ. ანთაძე)
წინააღმდეგი - 18

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ ლ. სირაზიდის წინადადება დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: - 24 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18
წინააღმდეგი - 6 (ს. თებიძე, ნ. ძიმიჯური, მ. ქამადაძე, ნ. დუმბაძე, რ. ზოიძე, ლ. ანთაძე)

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი დღის წესრიგიდან მე-7 საკითხის ამოღება დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: - 24 საკრებულოს წევრი
კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 4 (მ. ქამადაძე, ნ. დუმბაძე, რ. ზოიძე, ლ. ანთაძე)
წინააღმდეგი - 20

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ სხდომის მონაწილეებს საკრებულოს წევრებს გააცნო მორიგი სხდომის დღის წესრიგი:

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №41 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - არჩილ ვანაძე)

2. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 23 სექტემბრის №34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: მალხაზ ნაკაშიძე - პეტიციის წარმომდგენი,
თანამომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ოურიდიული განყოფილების უფროსი - სულიკო შვენთიძე)

3. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) მგზავრთა ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას სამგზავრო ტარიფების, ფასდაკლების სისტემის და მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - არჩილ ვანაძე)

4. „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M2 კატეგორიის ავტობუსებისათვის სამარშრუტო ხაზებისა და მარშრუტების სქემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის
სამსახურის საქალაქო ტრანსპორტის და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის
პოლიტიკის განყოფილების უფროსი - ემზარ ქავჭარაძე)

5. „თვითმმართველი ქალაქი ბათუმის ტერიტორიაზე ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M2 და M3 კატეგორიის ავტობუსებისათვის სამარშრუტო ხაზებისა და მარშრუტების სქემის დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 30 მარტის N73 განკარგულების ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის
სამსახურის საქალაქო ტრანსპორტის და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის
პოლიტიკის განყოფილების უფროსი - ემზარ ქავჭარაძე)

6. „თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ტერიტორიაზე პარკირების საერთო ადგილებით და პარკირების სპეციალური ადგილებით სარგებლობისათვის საფასურის დადგენის შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2013 წლის 28 თებერვლის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის საქალაქო ტრანსპორტის და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის პოლიტიკის განყოფილების უფროსი ემზარ ქავჭარაძე)

7. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №34 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსი - ეგარსლან ლომაძე)

8. „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების განკარგვასთან დაკავშირებით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსი - ეგარსლან ლომაძე)

9. „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების განკარგვასთან დაკავშირებით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსი - ეგარსლან ლომაძე)

10. „ბათუმის ცენტრალური პარკის ტერიტორიაზე მდებარე საზოგადოებრივი საპირფარეშოს სარგებლობის უფლებით გადაცემის ქირის საწყისი წლიური საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსი - ეგარსლან ლომაძე)

11. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის ქირის საწყისი წლიური საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსი - ეგარსლან ლომაძე)

12. „თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების - ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესების დადგენის შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2010 წლის 15 ოქტომბრის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსი - ეგარსლან ლომაძე)

13. „თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 14 სექტემბრის №50 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის ქალაქგეგმარების განყოფილების უფროსი - მამუკა რამიშვილი)

14. „ქალაქ ბათუმის გარკვეული ტერიტორიისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოსამზადებლად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის ქალაქგეგმარების განყოფილების უფროსი - მამუკა რამიშვილი)

15. „მკაცრი აღრიცხვის ფორმების გამოსაყენებლად შემოღებისა და ამ ფორმების ნიმუშების დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2009 წლის 8 აპრილის №8-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის ქალაქგეგმარების განყოფილების უფროსი - მამუკა რამიშვილი)

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი დღის წესრიგი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: - 24 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 20

წინააღმდეგი - 1(მ. ქამადაძე)

არ მიიღო მონაწილეობა - 3 (ნ. დუმბაძე, ლ. ანთაძე, რ. ზოიძე)

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი ლ. კომახიძე მიესალმა და მიულოცა დამსწრე-საზოგადოებას 26 მაისი - საქართველოს დამოუკიდებლობის დღე. 100 წლის განმავლობაში ქვეყანამ გაიარა მნიშვნელოვანი ეტაპი, წინა თაობებს მედგრად, ღირსებით მოჰქონდათ ჩვენი ქვეყანა, დღეს ვართ ამ ქვეყნის სამსახურში, ხვალ კი გააგრძელებს ჩვენი შვილებისა და შვილისშვილების თაობა. გაიხსენა დიდი პატივით ის ადამიანები, რომლებმაც თავი გასწირა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის, სახელმწიფოებრიობისათვის. ამასთან ქალაქის მერმა ლაშა კომახიძემ გამოთქვა მზადყოფნა, რომ იგი საკრებულოს წევრებს შეკითხვებს უპასუხებდა ნებისმიერ საკითხზე, მიუხედავად იმისა იგი დღის წესრიგით იყო თუ არა გათვალისწინებული.

საკრებულოს წევრმა რ. თავართქილაძემ დასვა შეკითხვები: შპს „ბათუმის წყალთან“ დაკავშირებით, რომელიც წინა პერიოდის დავალიანებების გამო ბათუმის ნახევარს წყალი გაეთიშა; შ.ხიმშიაშვილისა და ფიროსმანის ქუჩების ჩიხთან სკვერი მოწყობის თაობაზე, ასევე კრიმინალთან დაკავშირებით, რომ დღისით თავდა-მსხმელის მიერ 60-მდე ჭრილობის მიყენება ბათუმის მკვიდრზე, როცა ქალაქში

ყველა მოქალაქე დაცულად უნდა გრძნობდეს თავს. ბათუმის ცენტრალურ პარკში გარე განათების მოწესრიგების შესახებ.

საკრებულოს წევრმა ა. მამულაძემ აღნიშნა, რომ პოლიციის მიერ ქალაქში უნდა გამკაცრდეს მუშაობა, რომ მსგავსი კრიმინალური დანაშაული არ იქნეს ჩადენილი.

საკრებულოს წევრმა ნ. დუმბაძემ აღნიშნა, რომ შ.ხიმშიაშვილისა და ფიროსმანის ქუჩების სკვერის გაყიდვის შესახებ მაჟორიტარმა დეპუტატმა ი. პატარიძემ უნდა გააკეთოს განცხადება, სკვერის ადგილას განხორციელებული მშენებლობის შესახებ, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში რეორგანიზაციის შესახებ აღნიშნა, რომ შეერთდა მსხვილი ორგანიზაციები და შემცირდა თანამშრომლებთა რაოდენობა. განთავისუფლებული ადამიანები სასამართლოს მიერ აღდგენილი იქნენ, მაგრამ მერიას ჯერ არ აღუდგენია.

საკრებულოს წევრმა მ. ქამადაძემ გააკეთა განცხადება, რომ კრიმინალის დასაგმობად კოლეგიალობა გამოვიჩინოთ და მას ხმამაღლა შევებრძოლოთ.

საკრებულოს წევრმა ლ. ანთაძემ დასვა შეკითხვები: ი. მექვაბიშვილისა და ლ. კილაბერიას ასევე საკრებულოდან მ. ქარცივაძისა და ჯ. ქიქავას სამსახურიდან განთავისუფლების თაობაზე. შპს „ბათუმის წყალთან“ დაკავშირებით აღნიშნა, რომ დირექტორი ნეპოტიზმითაა დაკავებული, ბათუმის სასაფლაოების შესახებ აღნიშნა, რომ სამუშაოების 20% არ არის შესრულებული, ასევე სამარშრუტო ხაზების შემცირებაა დაგეგმილი.

საკრებულოს წევრმა ნ. დუმბაძემ დასვა შეკითხვა წერეთლის ქუჩიდან გარე მოვაჭრეების გადაყვანის თაობაზე, რის გამოც დარბაზში სხდომას ესწრებიან გარე მოვაჭრეები.

ქალაქის მერმა ლ. კომახიძემ უპასუხა საკრებულოს წევრების მიერ დასმულ შეკითხვებს. შპს „ბათუმის წყალთან“ დაკავშირებით აღნიშნა, რომ დავალიანებების საკითხი მტკივნეული თემაა და მნიშვნელოვანი. არსებული დავალიანების ამოღება არის სამსახურის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა და მისი მოვალეობა. ხიმშიაშვილის ქუჩაზე მიწის ნაკვეთის გაყიდვა მშენებლობასთან დაკავშირებით, საკრებულოს სხდომაზე გამოტანილი იქნა საპრივატიზებო ობიექტების ნუსხა, რომელიც დამტკიცდა და არანაირი რეაგირება არ მოჰყოლია. გამოცხადებული აუქციონის დროს რაიმე სახით გამოგეხატათ უკმაყოფილება. აღნიშნული პოლიტიკურ სპეკულაციად შეაფასა მერმა. ცენტრალურ პარკში განათებასთან და უსაფრთხოებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაცვა იქნება გამოყოფილი. ამ წუთისათვის აღდგენილია განათებები, არსებული კაპიტალურად შეკეთდება. მერიაში რეორგანიზაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სამსახურის ოპტიმიზაციით ძალიან ბევრი თანამშრომელი შემცირდა, მაგრამ ყოველდღიურად აწარმოებს მსხვილ კომპანიებთან, დამსაქმებლებთან მოლაპარაკებებს, რომლებსაც სთავაზობს სიას მათი მონაცემებით დასაქმებისათვის. არანაირი პოლიტიკური ნიშნით არ თავისუფლდება თანამშრომელი. გარე მოვაჭრეებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ გარე ვაჭრობამ უნდა მიიღოს სამართლებრივი ჩარჩო. მან ისაუბრა, რასაც გარემოვაჭრეებს მერია, კომპანია „მეტროს“ ჩართულობით სთავაზობს. ძალიან დიდი არის საზოგადოების სამართლიანი მოთხოვნა იმისათვის, რომ გარე ვაჭრობამ საბოლოოდ მიიღოს ნორმალური ჩარჩო და სახე, და მოხდეს მისი გადატანა. ის, რაც ხდება წერეთლის ქუჩაზე და არამარტო წერეთლის ქუჩაზე, ღამის საათებში, იქ მცხოვრები მოსახლეობისთვის შეუძლებელია ასე გაგრძელდეს. ამას არ სჭირდება იმ ქუჩაზე ცხოვრება, მან შესთავაზა გარემოვაჭრეებს გაერთიანდნენ, იქირაონ ქალაქში ფართობები და ქირის გადახდაში თანამონაწილეობას მიიღებს მერია და ჩართავს კერძო სექტორსაც: მზადაა შეიმუშაოს პროგრამა, იქირაონ ფართობი და დაუმატოს თანხა,

ოღონდ ეს უნდა იყოს მაღაზია. მათ აქვთ შიში, რომ გოგოლის ქუჩაზე არ იქნება ხალხი და მას ესმის მათი. ამიტომ გვინდა მაქსიმალურად დაუდგეთ გვერდით. ხალხი რომელიც ააყენეს გორში, ზუგდიდში, ეს ხალხი ჩამოსულია აქ და როდესაც ჩვენი ზედამხედველობის სამსახური იყო ადგილზე, მოვიდნენ ჯიპებით, მათ შორის ის ყველას არ გულისხმობს, აქ არის ერთმანეთის გვერდით, როგორც შეჭირვებული ადამიანი, ასევე, კიდევ ერთხელ ამბობს, რომ იმპორტი უნდა დასრულდეს და ჩვენ ამას არ ვასრულებთ ისე, რომ არ გავითვალისწინოთ მოვაჭრეების მდგომარეობა“.

საკრებულოს სხდომაზე მისული გარემოვაჭრეების თქმით, მათთვის მიუღებელია ადგილი, სადაც მათ გადასვლას მერია სთავაზობს – „მეტროს“ ავტოსადგურის მიმდებარედ არსებული სავაჭრო ცენტრი გოგოლის ქუჩაზე. გარემოვაჭრეების მოთხოვნაა ალტერნატიული ადგილი მერიამ ხალხმრავალ ადგილებში შესთავაზოს.

ბათუმის მერმა განაცხადა, რომ ყველა იმ გარემოვაჭრეს, რომელიც ნებაყოფლობით, სათანადო აღრიცხვის საფუძველზე, გაათავისუფლებს უკანონოდ დაკავებულ ტერიტორიას, გადავა და საქმიანობას გააგრძელებს გოგოლის ქ. №1-ში მდებარე ალტერნატიულ ფართობში, ბათუმის მერია კომპენსაციის სახით გადასცემს 200 ლარს ყოველთვიურად, 3 თვის განმავლობაში. სავაჭრო ადგილები გარემოვაჭრეებს გამოეყოფათ უფასოდ, ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც იმოქმედებს არანაკლებ 24 თვის განმავლობაში. გარდა ამისა, ბათუმის მერია და სს „მეტრო ჯორჯია“ მომდევნო პერიოდის განმავლობაში უზრუნველყოფენ სამგზავრო ავტობუსების გამოყოფას რეგულარულად, ერთი საათის ინტერვალით, რომლებიც გარემოვაჭრეების მიერ შერჩეული ქალაქის ტერიტორიიდან მოემსახურება ნებისმიერ პირს, მათი უფასო ტრანსპორტირების მიზნით, გოგოლის №1-ში მდებარე სავაჭრო ცენტრში და პირიქით. მერიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე ასევე აღნიშნულია, რომ თუ უახლოესი დღეების განმავლობაში არ მოხდება უნებართვოდ დაკავებული ტერიტორიების ნებაყოფლობით გათავისუფლება და უკანონო გარევაჭრობის შეწყვეტა, მერია განახორციელებს კანონით გათვალისწინებულ ყველა შესაძლო ღონისძიებას, როგორც სამართალდამრღვევი პირების მიმართ შესაბამისი სანქციების ამოქმედების, ასევე, უნებართვოდ დაკავებული საზოგადოებრივი სივრცეების გათავისუფლების კუთხით.

მერმა აღნიშნა ახალი ინიციატივა ა(ა)იპ კეთილმოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამმართველოს დაევალება ყველა ინფრასტრუქტურული პროექტების განთავსება ვებ-გვერდზე, გახდება საჯარო დოკუმენტაცია, ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეეძლება ჩამოტვირთონ სატენდერო დოკუმენტაცია, შენიშვნებს მიიღებენ ციფრების, კითხვების, ვადების გაჩენასთან დაკავშირებით. მერმა მაღლობა გადაუხადა საკრებულოს წევრებს კითხვებისათვის და ნებისმიერ დროს მზადაა მსგავსი ტიპის კომუნიკაციისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ გამოაცხადა შესვენება 13.00 სთ.

სხდომა განახლდა 14.00 სთ.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ განაცხადა, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყების და სხდომის განახლების თაობაზე.

მ ო ს მ ი ნ ე ს :

1. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №41 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - არჩილ ვანაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პროექტით ხორციელდება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შემოსულობების და ნაშთის ცვლილება. ასევე, გადასახდელების ცვლილება ცალკეული პროგრამების/ქვეპროგრამების მიხედვით; ბიუჯეტის შემოსულობებში და გადასახდელებში ასახული იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან და საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერის თანხა. ასევე, ელექტრონული ტენდერების და ინფრასტრუქტურული სამუშაოების დასრულების შედეგად დაფიქსირებული ეკონომიების ხარჯზე გათვალისწინებული იქნა ახალი ქვეპროგრამებისა და ღონისძიებების დაფინანსება. მათ შორის:

დაიწყება ქ. ბათუმის ადმინისტრაციულ საზღვრებში შემოერთებული ტერიტორიების წყალმომარაგების სამუშაოების მეორე ეტაპი - ფრიდონ ხალვაშის გამზირის მარჯვენა (მდ. ჭოროხის მიმდებარე) უბნის წყალმომარაგების სამუშაოები; გაგრძელდება ე.წ. "ჭაობის დასახლებაში" ქუჩების კეთილმოწყობა. დაიწყება: ბაგრატიონის შესახვევის, გურამიშვილის ქუჩის, გურამიშვილის შესახვევის, მელიქიშვილის I შესახვევის, სააკაძის ქუჩის, სააკაძის შესახვევის, ჩოლოყაშვილის I და II შესახვევის კეთილმოწყობის სამუშაოები; გაგრძელდება ბონი-გოროდოკის დასახლების ქუჩების კეთილმოწყობა. დაიწყება: ვ. მაიაკოვსკის I, III და IV ჩიხის, ს. მესხის III ჩიხის, დ. ჭონქაძის ქუჩის, ი. გოგოლის შესახვევის, თ. სახოკიას ქუჩის, რ. თაბუკაშვილის ქუჩის, გ. წერეთელის ქუჩის, გ. ვოლსკის ქუჩის და კულტურის სახლთან მიმდებარე ტერიტორიაზე, არსებული ვიწრო ჩიხების კეთილმოწყობის სამუშაოები; დაგეგმილია: მაგნოლიის ჩიხის კეთილმოწყობა, აეროპორტის გზატკეცილის №43-დან დავით აღმაშენებლის ქუჩის წრიულამდე სანიაღვრე არხის მოწყობა, გენერალ ასლან აბაშიძის ქ. №131-ის მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით იზრდება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შემოსულობები 6,787.5 ათასი ათასი ლარით. მათ შორის:

- სპეციალური ტრანსფერი - 543.5 ათასი ლარით, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა "ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის" პროექტის ფარგლებში შესყიდული საქონლისა და მომსახურების დღგ-ის 50% გადახდის მიზნით;
- კაპიტალური ტრანსფერი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან - 6,000.0 ათასი ლარით, ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსების მიზნით;
- სხვა შემოსავლები - 244.0 ათასი ლარით, რომლის მობილიზება ბათუმის ცენტრალური პარკის ტერიტორიაზე მდებარე ატრაქციონების და ბულვარის ტერიტორიაზე მდებარე ატრაქციონის („ემშაკის ბორბალის“) იჯარიდან არის დაგეგმილი.

ა ზ რ ი
გ ა მ ო თ ქ ვ ე ს :

საკრებულოს წევრმა ლ. ანთაძემ დასვა შეკითხვა რეორგანიზაციის შედეგად ბიუჯეტში თანხობრივი შემცირებისა და ხელშეკრულებით აყვანილი თანამშრომელთა რაოდენობის შესახებ, რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ რეორგანიზაციის შედეგად წლიური ეფექტი იყო 700 ათასი ლარი, ვინაიდან პროცესი დაიწყო მიმდინარე წლის მაისის თვიდან წარმოდგენილ ბიუჯეტზე გავლენა არის დაახლოებით ნახევარი მილიონი ლარი, თუმცა ცვლილებებით მაჩვენებელი შემდგომში შეიცვლება. მუნიციპალიტეტის სერვისების სააგენტოს დაფინანსება გაიზარდა, როგორცაა შენობის დაცვის უზრუნველყოფა, ინვენტარის შეძენა.

საკრებულოს წევრმა ლ. ანთაძემ დასვა შეკითხვა ჩაქვის სასაფლაოსთვის თანხის დამატების თაობაზე, როცა პროექტი დამტკიცებულია, ტენდერი გამოცხადებული იყო, მაგრამ ტერიტორიის 20%-ია მოპირკეთებული, რაზედაც მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სასაფლაოების პროექტი დაიწყო 2011 წელს, სამუშაოები დაპროექტებულია, მაგრამ პროექტში არ იყო გათვალისწინებული გარკვეული ტიპის სამუშაოები, რის გამოც არაერთხელ განხორციელდა პროექტში ცვლილება, მათ შორის ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა. წყალმომარაგების სამუშაოები პროექტში გათვალისწინებული იყო, თუმცა იგივე მიწის და კეთილმოწყობის სამუშაოები მოითხოვდა განხორციელებას და ამის გამო მოხდა წყალმომარაგების სამუშაოების გათვალისწინება.

ა(ა)იპ „ბათუმის სასაფლაოების“ დირექტორმა აღნიშნა, რომ პროექტში სამუშაოების შესრულებისას შესატანი დარჩა ცვლილებების შეტანა, ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე მიწის პროფირირების შემდეგ სამუშაოები უნდა დაწყებულიყო. ეროზიების გამო გეოლოგიური დასკვნის საფუძველზე საჭირო გახდა ყორექვით გამაგრება, რომელიც ნახევარ მილიონზე მეტი დაჯდა. შპს „კონექსის“ მიერ საექსპერტო დასკვნაში აღნიშნულია, რომ ნაყარ გრუნტზე რაიმე სახის ნაგებობების დასმა გარკვეული დროის განმავლობაში, ვიდრე არ მოხდება მისი კონსოლიდაცია ბუნე-

ბრივ პირობებში გაუმართლებელია.

საკრებულოს წევრმა ნ. დუმბაძემ ა. ბურკაძეს მიმართა, რომ დირექტორად დანიშნვისთანავე გააუქმეთ ბრძანება ტენდერში გამარჯვებულ კომპანიასთან და ხელშეკრულება არ გაფორმებულა, რა არის მოტივი?, რაზედაც ა. ბურკაძემ აღნიშნა, რომ ტენდერის ეტაპზე შეწყდა, დისკვალიფიკაცია მოხდა და ხელშეკრულება არ გაფორმებულა.

საკრებულოს წევრმა რ. თავართქილაძემ დასვა შეკითხვა სამრეწველო ზონაში წყლის მიწოდების შეფერხებასთან დაკავშირებით, რაზედაც მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მე-4 ფაზის მიხედვით სამუშაოები დასრულებულია ჯავახიშვილის ქუჩამდე, ასევე ითვალისწინებს ჯავახიშვილის ქუჩიდან შემდგომ ტერიტორიებს მდ. მეჯინისწყლამდე.

საკრებულოს წევრმა მ. ქამადაძემ აღნიშნა, რომ ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წარმოდგენილ პროექტს მხარს არ უჭერს, რადგან მოუმზადებელია.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 23 საკრებულოს წევრი
არ ესწრებოდა: 1 (დ. ჭეიშვილი)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 17

წინააღმდეგი - 6 (რ. თავართქილაძე, ა. მამულაძე, მ. ქამადაძე, ნ. დუმბაძე, რ. ზოიძე, ლ. ანთაძე)

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს :

2. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 23 სექტემბრის №34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: მალხაზ ნაკაშიძე - პეტიციის წარმომდგენი, თანამომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული განყოფილების უფროსი - სულიკო შვენთიძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 23 სექტემბრის №34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის

თაობაზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების შემუშავება განპირობებულია 2017 წლის 07 დეკემბერს ინიციატორთა 3 კაციანი ჯგუფის მიერ წარმოდგენილი პეტიციით: პეტიციის ელექტრონული ფორმით წარმოდგენის წესის ამოქმედების შესახებ.

პეტიციის ელექტრონული ფორმით წარდგენის შესაძლებლობას ითვალისწინებს საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველოს კოდექსი“, რომელიც ამავე კოდექსის თანახმად (86-ე მუხლის 24-ე პუნქტი) უნდა განსაზღვროს მუნიციპალიტეტის საკრებულომ.

დადგენილების პროექტის მიღება არ გამოიწვევს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფის საჭიროებას, ვინაიდან ზემოაღნიშნული ცვლილების მიღების შემთხვევაში. სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმების დანერგვაში ხელშეწყობის მიზნით, მოახდენს ელექტრონული პეტიციის პროგრამული უზრუნველყოფის სისტემის დანერგვას, განვითარება, მხარდაჭერასა და ტექნიკურ მომსახურებას, რომელიც სატესტო ვერსია სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრს უკვე მომზადებული აქვს და ცვლილების მიღების შემთხვევაში მოხდება მისი ამოქმედება.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 23 საკრებულოს წევრი
არ ესწრებოდა: 1 (დ. ჭიშვილი)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 23
წინააღმდეგი - 0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

3. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) მგზავრთა ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას სამგზავრო ტარიფების, ფასდაკლების სისტემის და მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - არჩილ ვანაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პროექტის მიხედვით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე M3 კატეგორიის ავტობუსებით მგზავრთა ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას დამატებით შეღავათებით ისარგებლებენ: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირები (მგზავრობის საფასურის 50 %-იანი შეღავათი - 0,15 ლარი);

ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე სავარაუდო ზეგავლენა 5880 ლარია, რომელიც დაიფარება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის სუბსიდირების“ ქვეპროგრამის ასიგნებების ფარგლებში.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 23 საკრებულოს წევრი
არ ესწრებოდა: 1 (დ. ჭიშვილი)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 23
წინააღმდეგი - 0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მ ო ს მ ი ნ ე ს :

4. „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M2 კატეგორიის ავტობუსებისათვის სამარშრუტო ხაზებისა და მარშრუტების სქემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის საქალაქო ტრანსპორტის და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის პოლიტიკის განყოფილების უფროსი - ემზარ ქავყარაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის და „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად,

დამტკიცდეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის სამარშრუტო ხაზები M₂ კატეგორიის ავტობუსებისათვის: NN 20, 21, 22, 24, 25, 27, 28, 30, 31, 32, 33, 34, 35, 36, 39, 40, 42, 44, 46, 47, 51, 52.

დამტკიცდეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მარშრუტების სქემა, მარშრუტის სიგრძე, M₂ კატეგორიის ავტობუსების რაოდენობა (საერთო და ყოველდღიური) და მოძრაობის ინტერვალი.

თანახმად 1-22 დანართისა.

აზრი

გამოთქვეს:

საკრებულოს წევრმა ნ. ზოიძემ აღნიშნა, რომ ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ სხდომაზე კონსულტაციები შედგა ორგანიზაციებთან, სქემა დეტალურად იქნა განხილული და წარმოდგენილია პროექტში შესატანი ცვლილებები, კერძოდ: №22 მარშრუტი იცვლება №49-ით და იმოდრავებს აკაკი შანიძის ქუჩიდან ბათუმი ცენტრალამდე; №27 გადაკეთდება №29-ად და გაივლის კაზინეცის და ქათამაძის ქუჩების გავლით; №35 გადაკეთდება №45-ად; №40 პუშკინის და თავდადებულის ქუჩების ნაცვლად იმოდრავებს წერეთელი-ლუკა ასათიანის გავლით; №36 ბაგრატიონის ნაცვლად იმოდრავებს გორგასალი ფარნავაზ მეფის გავლით; №51 გადაკეთდება №56-ად და იმოდრავებს აეროპორტის გზატკეცილის ნაცვლად ხახული, აღმაშენებელი, ბაგრატიონი და გაგრძელდება ბათუმი ცენტრალამდე; №52 მარშრუტის საწყისი იქნება მეტრომოდის ნაცვლად სკოლა 21 საუკუნე. დღეს 10 საათზე ჩატარდა საკრებულოს ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომა და წარმოდგენილია დადებითი დასკვნა.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილ პროექტში ნებისმიერ დროს შესაძლებელია ცვლილების შეტანა.

საკრებულოს წევრმა რ. თავართქილაძემ მუნიციპალური ავტობუსების ლურჯ ფერზე გაამახვილა ყურადღება, რაზედაც მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ბათუმში ახალი, ლურჯი ავტობუსები მოსახლეობას აგვისტოდან მოემსახურება. ავტობუსების ფერთან დაკავშირებით ბათუმის მერიამ ონლაინ-გამოკითხვა ჩაატარა. გამოკითხვაში უმრავლესობამ მხარი ლურჯ ფერს დაუჭირა. გამოკითხვის მონაწილეებს საშუალება ჰქონდათ ავტობუსის ფერებად აერჩიათ თეთრი, წითელი, ყვითელი, მწვანე, ვერცხლისფერი ან ლურჯი.

საკრებულოს წევრმა ი. პატარიძემ დასვა შეკითხვა სამარშრუტო ტაქსების შემცირების თაობაზე, რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ ერთი თვის განმავლობაში მერიის მიერ წარმოდგენილი იქნება კონკურსის ჩატარების წესი და სანებართვო პირობები, კომპანიების

მიმართ მოთხოვნაა, რომ ყველა მიკროავტობისი აღჭურვილი უნდა იყოს ჯიპების სისტემით და ერთიანი საბილეთო სისტემით.

საკრებულოს წევრმა ლ. ანთაძემ აღნიშნა, რომ კომისიაზე განხილული იქნა, მაგრამ სამარშრუტო ტაქსები ბანკის სესხით აქვთ შეძენილი, დაახლოებით 250 მძღოლი რჩება უმუშევარი და შემოსავლის კუთხით შეიქმნება პრობლემა. კარგი იქნებოდა ერთი კვირით გადადებულიყო საკითხი და მოლაპარაკება მომხდარიყო მძღოლებთან.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი, ცვლილების გათვალისწინებით დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 23 საკრებულოს წევრი
არ ესწრებოდა - 1(ნ. დუმბაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 19
წინააღმდეგი - 4 (ლ. ანთაძე, მ. ქამადაძე, რ. ზოიძე, რ. თავართქილაძე)

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი, ცვლილებების გათვალისწინებით.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს :

5. „თვითმმართველი ქალაქი ბათუმის ტერიტორიაზე ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M2 და M3 კატეგორიის ავტობუსებისათვის სამარშრუტო ხაზებისა და მარშრუტების სქემის დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 30 მარტის N73 განკარგულების ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის საქალაქო ტრანსპორტის და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის პოლიტიკის განყოფილების უფროსი - ემზარ ქავყარაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ აღნიშნული პროექტის მიღების მიზანია ქ. ბათუმის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო რეფორმის ფარგლებში მოქალაქეზე (მგზავრზე) მორგებული ახალი სამარშრუტო ქსელის დამტკიცება.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 24 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 19

წინააღმდეგი - 5 (ლ. ანთაძე, მ. ქამადაძე, ნ. დუმბაძე,
რ. ზოიძე, რ. თავართქილაძე)

დასადგინეს: მიღებული იქნა წარმოდგენილი
განკარგულების პროექტი.

მოისმინეს:

6. „თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ტერიტორიაზე პარკირების საერთო ადგილებით და პარკირების სპეციალური ადგილებით სარგებლობისათვის საფასურის დადგენის შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2013 წლის 28 თებერვლის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის
საქალაქო ტრანსპორტის და სატრანსპორტო
ინფრასტრუქტურის პოლიტიკის
განყოფილების უფროსი ემზარ ქავჭარაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ტერიტორიაზე პარკირების საერთო ადგილებით და პარკირების სპეციალური ადგილებით სარგებლობისათვის საფასურის დადგენის შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2013 წლის 28 თებერვლის №4 დადგენილებაში (გამოქვეყნების წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, www.matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი: 06/03/2013, სარეგისტრაციო კოდი: 010250020.35.132. 016155) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

ა) დადგენილების მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. დადგინდეს თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ტერიტორიაზე პარკომეტრებით აღჭურვილი პარკირების საერთო ადგილებით (გარდა „თბილისის მოედნისა“) სარგებლობისათვის საფასური დროის შემდეგი მონაკვეთების მიხედვით:

ა) 1 საათამდე პერიოდი - 50 (ორმოცდაათი) თეთრი;

ბ) 2 საათამდე პერიოდი - 1 (ერთი) ლარი;

გ) ყოველი შემდეგი 01 (ერთი) საათი - 1 (ერთი) ლარი.“

ბ) დადგენილების „4“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4². ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე თბილისის მოედანზე გამოიყოს 6 (ექვსი) ერთეული ადგილი მსუბუქი ტაქსის პარკირებისათვის და დადგინდეს მათთვის პარკირების ადგილებით სარგებლობისათვის საფასური 5 (ხუთი) ლარის ოდენობით დღის განმავლობაში.“

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 24 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 21

წინააღმდეგი - 0

არ მიიღო მონაწილეობა - 3(რ. თავართქილაძე, ა. მამულაძე, რ. ზოიძე)

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი
განკარგულების პროექტი.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს :

7. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №34 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის
სამსახურის უფროსი - ეგარსლან ლომაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საკრებულოს უფლებამოსილებებს მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და განკარგვის სფეროში განეკუთვნება მუნიციპალიტეტის მერის წარდგინებით მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცება. თავის მხრივ, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზაციო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის №669 დადგენილების შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა არის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ჩამონათვალი, ხოლო პრივატიზაციის გეგმა არის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული, მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის საფუძველზე შედგენილი გეგმა, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტის დასახელების, მდებარეობის, საწყისი საპრივატიზაციო საფასურის, აუქციონის ფორმის (უპირობო ან პირობებიანი), აუქციონის შემდგომ მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული ღირებულების გადახდის სავარაუდო პერიოდის ან/და პერიოდულობის შესახებ.

“ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ” ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №34 განკარგულებით დამტკიცებულია:

ა) „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო უძრავი ობიექტთა ნუსხა“, რომელსაც წარმოდგენილი პროექტით ემატება 16 საპრივატიზაციო ობიექტი;

ბ) „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზების გეგმა“, რომელსაც წარმოდგენილი პროექტით ემატება 16 პრივატიზების გეგმაში შემავალი ობიექტი (უძრავი ქონება);

ამასთან, მე-16 პუნქტით გათვალისწინებული ქ. ბათუმი, ინასარიძის ქ.№24-ის მიმდებარედ არსებული 1 025,00 კვმ მიწის ნაკვეთის პრივატიზება იგეგმება მასზე არანაკლებ 725 კვმ ფართობზე სკვერის მოწყობის და შემდგომში სკვერის ფუნქციური დანიშნულების მუდმივად შენარჩუნების პირობით. მყიდველს უფლება ექნება მშენებლობა განახორციელოს მხოლოდ 300 კვმ მიწის ნაკვეთზე ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიასთან შეთანხმებული პროექტის მიხედვით. მე-17 პუნქტით გათვალისწინებული ქ. ბათუმი, შ. ხიმშიაშვილის ქ.№43-ის მიმდებარედ არსებული 653 კვმ მიწის ნაკვეთის პრივატიზება შესაძლებელია განხორციელდეს მასზე საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობის პირობით. მე-18-26-ე პუნქტებით გათვალისწინებული მიწის ნაკვეთების პრივატიზება იგეგმება შემდეგი შეზღუდვით: დარეგისტრირებული კონფიგურაციით მშენებლობის უფლების გარეშე. რაც შეეხება 27-31-ე პუნქტებით გათვალისწინებული მიწის ნაკვეთებს, მათი პრივატიზება იგეგმება პირობის გარეშე აუქციონების გამოცხადების გზით.

ა ზ რ ი

გ ა მ ო თ ქ ვ ე ს :

საკრებულოს წევრმა ნ. დუმბაძემ დასვა შეკითხვა საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხიდან მიწის ნაკვეთების სკვერის სტატუსის მინიჭების შესახებ, რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ ინასარიძის ქუჩაზე მიწის ნაკვეთი მზადდება საპრივატიზაციოდ იმ პირობით რომ მასზე მოეწყობა სკვერი მყიდველის მიერ. ნაკვეთზე მშენებლობა დასაშვები იქნება არაუმეტეს 300 კვადრატული მეტრისა და 700 კვ.მ-ზე მოეწყობა სკვერი.

საკრებულოს წევრმა რ. თავართქილაძემ დასვა შეკითხვა ხიმშიაშვილისა და ფიროსმანის კვეთაში მიწის ნაკვეთის გასხვისებასთან დაკავშირებით, რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ მიმდინარე წლის თებერვალში დამტიცდა საპრივატიზებო ნუსხა, მერიის ვებ-გვერდზე კი განთავსებული იყო აუქციონის პირობები.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 23 საკრებულოს წევრი
არ ესწრებოდა - 1(დ. ჭიშვილი)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 23
წინააღმდეგი - 0

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ს მ ი ნ ე ს :

8. „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების განკარგვასთან დაკავშირებით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის
სამსახურის უფროსი - ეგარსლან ლომაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას 2018 წლის 16 აპრილს №12654/25 წერილით მომართა მოქ. ვასილ ოსეფაიშვილმა, რომელიც აღნიშნავს, რომ მრავალი წელია ემსახურება ადგილობრივ მოსახლეობას და ბათუმის სტუმრებს ფოტო გადაღებებით და გამოთქვამს სურვილს, ბათუმის ბულვარში, სატუმრო „ინტურისტი“-ს მიმდებარედ, ბამბუკის ხეივანთან არსებული ფოტო-ატელიეს შენობის და მასზე მიმაგრებული მიწის ნაკვეთის მრავალწლიანი იჯარით სარგებლობაში აღების თაობაზე. განცხადებაში ასევე აღნიშნულია, რომ იგი განახორციელებს არსებული შენობა-ნაგებობის და მიმდებარე ტერიტორიის სარეაბილიტაციო სამუშაოებს, რომელიც გახდება ერთ-ერთი მიზიდველი და საინტერესო ლოკაცია ბათუმის მასშტაბით, დამსვენებლებისათვის და ადგილობრივი მოსახლეობისათვის. ვ. ოსეფაიშვილს წარმოდგენილი აქვს ტერიტორიის, როგორც კომპლექსური გასართობი ცენტრის პრეზენტაცია. პროექტი გულისხმობს ბულვარში ისეთი სივრცის შექმნას, რომელიც ისარგებლებს დიდი პოპულარობით და გახდება საინტერესო ადგილი ტურისტებისათვის, როგორც ეს ხდება ევროპის წამყვან საკურორტო ქალაქებში. კონცეფციის მიხედვით, ბათუმის ბულვარში მოეწყობა ქართულ ტრადიციებსა და თანამედროვე სტანდარტებზე ორიენტირებული, ტურისტულად საინტერესო და მიზიდველი ლოკაცია. არსებულ ტერიტორიაზე თანაბრად იქნება გადანაწილებული როგორც შენობა-ნაგებობა, ისე სხვადასხვა მცენარეებითა და დეკორაციებით მორთული ეზო. იგი გათვლილია ყველა სეგმენტის დამსვენებელსა თუ ადგილობრივ მოსახლეზე. პროექტის განხორციელებით შეიქმნება ახალი სამუშაო ადგილები. მოხდება ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება.

ბულვარში, ერთ-ერთ ხალხმრავალ ადგილას, ყოფილი ფოტოატელიის ტერიტორიის ნაცვლად განთავსდება მრავალფუნქციური კომპლექსი სახელწოდებით „სინთეზი“. კომპლექსის შექმნის კონცეფცია ემსახურება აჭარული ტრადიციებისა და კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციას. შენობა-ნაგებობის და მისი მიმდებარე ტერიტორიის მოწყობა მოხდება შემდეგი დანიშნულებით: ფოტოატელიე სახელწოდებით „ფოტოსინთეზი“; კაფე-ბარი ტყეში ქართულ-ევროპული სამზარეულოს სინთეზით; ტერასა - კულტურული ღონისძიებებისა და შემოქმედებითი სადამოებისათვის; „ქართული კუთხე“ ეზოს მიმდებარე ტერიტორიაზე; სივრცე ფოტოსესიისათვის; მოსასვენებელი სივრცე; ეზოს მოწყობა და გაფორმება.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ ბულვარის ტერიტორიაზე კიდევ ერთი დასავენებელი და გართობის ადგილის თანამედროვე მოთხოვნების დონეზე მოწყობის მიზნით ზღვისპირა პარკში არსებული ყოფილი ფოტოატელიის შენობა-ნაგებობის მიწის ნაკვეთთან ერთად,

კერძოდ, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ. ბათუმში, ზღვისპირა პარკში მდებარე 113,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული 89,43 კვ.მ. შენობა-ნაგებობის (საკადასტრო კოდი: 05.22.01.002) ვასილ ოსეფაიშვილისათვის (პ/ნ 61002009353) პირდაპირი განკარგვის წესით, 10 წლის ვადით იჯარის ფორმით სარგებლობაში გადაცემას, უძრავი ქონების წლიური საიჯარო ქირის 7000,00 (შვიდი ათასი) ლარის ოდენობით განსაზღვრით.

ა ზ რ ი

გ ა მ ო თ ქ ვ ე ს :

საკრებულოს წევრმა ნ. დუმბაძემ აღნიშნა, რომ აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე გამოცხადებულიყო აუქციონი და არა პირდაპირი განკარგვის წესით მომხდარიყო გადაცემა.

საკრებულოს წევრმა მ. ქამადაძემ წამოაყენა წინადადება სიმბოლურად 1 ლარად ქონების გადაცემის თაობაზე.

საკრებულოს წევრმა ა. მამულაძემ აღნიშნა, რომ ფოტოხელოვანის დამსახურებიდან გამომდინარე ხდება გადაცემა.

საკრებულოს წევრმა ნ. დუმბაძემ აღნიშნა, რომ ბათუმში ბევრი ღვაწლმოსილი ფოტოგრაფია და პირდაპირი განკარგვის წესით არ ეძლევა ქონება. მას სურვილი აქვს 10 000 ლარი გადაიხადოს.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ შემოსულია ორი წინადადება: ერთ ლარად გადაცემა და 10 000 ლარის გადახდა, რომელსაც სჭირდება მომხსენებლის თანხმობა.

საკრებულოს წევრმა ო. მახარაძემ აღნიშნა, რომ ქონების განკარგვის სხვადასხვა ფორმები არსებობს, მათ შორის პირდაპირი სასყიდლიანი ანუ იჯარის ფორმით.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქონების განკარგვასთან დაკავშირებით საჭიროა საკრებულოს თანხმობა. მერია არ ფიქრობს სამართლებრივ აქტში ცვლილების შეტანას, მიღებული უნდა იქნას წარმოდგენილი სახით.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 22 საკრებულოს წევრი
არ ესწრებოდა 2 (ი. თოფურიძე, ი. პატარიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს :

მიღებული იქნა წარმოდგენილი
განკარგულების პროექტი.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს :

9. „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების განკარგვასთან დაკავშირებით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის
სამსახურის უფროსი - ეგარსლან ლომაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას 2018 წლის 14 მაისს წარედგინა შპს „ბმ გრუპი“-ს დირექტორის კახაბერ გოგეშვილის №15524/25 წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ 2018 წლის მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატთან დაკავშირებით, მითითებული ორგანიზაცია აჭარის ა/რ მთავრობის, აჭარის ა/რ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის, აჭარის ა/რ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტისა და სხვა ორგანიზაციების მხარდაჭერით გეგმავს ჩემპიონატში მონაწილე 8 ფავორიტი ნაკრების (ბრაზილია, არგენტინა, გერმანია, საფრანგეთი, ინგლისი, ესპანეთი, ბელგია, პორტუგალია) ფან-კლუბების შექმნას, კერძოდ, ყველა ფან-კლუბისათვის მოეწყობა ცალკე სივრცე, შექმნილ ფან-კლუბებს შორის გაიმართება სხვადასხვა ტიპის სპორტული და ინტელექტუალური თამაშები, საფეხბურთო ტრანსლაციებთან ერთად იგეგმება სხვადასხვა ტიპის აქტივობები, კონკურსები, ვიქტორინები, პროექტის წარმოდგენილი კომპანიების პიარ აქციები, საინტერესო საუბრები სპეციალისტებთან, ამასთანავე თამაშებს შორის თავისუფალ დროს მუსიკალურად გააფორმებენ ადგილობრივი და მოწვეული ბენდები და დიჯეები, მოეწყობა სივრცე ბავშვებისთვის, ხოლო პროექტის უსაფრთხოებაზე იზრუნებს სახელმწიფო და კერძო დაცვის სამსახურები, ტერიტორიის დასუფთავებაზე ხელშეკრულება გაფორმდება ქალაქ ბათუმის დასუფთავების სამსახურთან. ამ პროექტის განსახორციელებლად განმცხადებელი ითხოვს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ბათუმში, ზღვისპირა ბულვარში („ანბანის კოშკის“ მიმდებარედ) მდებარე 1183,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთის, ჯიხურების, მაგიდებისა და სკამების შპს „ბმ გრუპი“-სათვის იჯარის უფლებით სარგებლობაში გადაცემას, 2018 წლის 07 ივნისისა და 2018 წლის 17 ივლისის ჩათვლით. განმცხადებლის მიერ მითითებულ პერიოდში სარგებლობის საფასურის სახით შემოთავაზებულია 1000,0 (ერთი ათასი) ლარი.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია მიზანშეწონილად მიიჩნევს 2018 წლის მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატთან დაკავშირებით ფან-კლუბების მოწყობის მიზნით, შპს „ბმ გრუპი“-ს იჯარის უფლებით სარგებლობაში გადაეცეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ბათუმში, ზღვისპირა ბულვარში („ანბანის კოშკის“ მიმდებარედ) მდებარე 6703,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 05.21.20.047) ნაწილი - 1183,0 კვ.მ. მიწა, ჯიხურები, მაგიდები და სკამები და სარგებლობის საფასური განისაზღვროს 7000,00 (შვიდი ათასი) ლარის ოდენობით.

ა ზ რ ი

გ ა მ ო თ ქ ვ ე ს :

საკრებულოს წევრმა ზ. ნაკაიძემ წამოაყენა წინადადება, პროექტში ცვლილების შეტანის თაობაზე, კერძოდ: იჯარის უფლებით გადაცემული მიწის ნაკვეთის სარგებლობის საფასური განისაზღვროს 1000 ლარის ოდენობით. აღნიშნული ცვლილება კომისიის გადაწყვეტილებითაა მიღებული.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი, ცვლილების გათვალისწინებით დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 22 საკრებულოს წევრი
არ ესწრებოდა: 2 (ი. თოფურიძე, ი. პატარიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 22
წინააღმდეგი - 0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი, ცვლილების გათვალისწინებით.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

10. „ბათუმის ცენტრალური პარკის ტერიტორიაზე მდებარე საზოგადოებრივი საპირფარეშოს სარგებლობის უფლებით გადაცემის ქირის საწყისი წლიური საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსი - ვგარსლან ლომაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ბათუმის ცენტრალური პარკის ტერიტორია (ს/კ№05.23.06.006), რომელზეც განთავსებულია საზოგადოებრივი საპირფარეშო, უზუფრუქტის ფომით გადაცემული ჰქონდა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირს „ბათუმის ტურისტულ ობიექტების მართვის სააგენტო“-ს. ვინაიდან ხორციელდება ხსენებული სააგენტოს ლიკვიდაცია, რომ არ შეფერხდეს მომხმარებელთა მომსახურება, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საზოგადოებრივი საპირფარეშო აუქციონის წესით გაცემული იქნას სარგებლობაში. კანონმდებლობით გათვალისწინებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებების განხორციელებისათვის უნდა განისაზღვროს მისი აუქციონის წესით სარგებლობის უფლებით განსაკარგი ქირის საწყისი წლიური საფასური. იგი აუდიტის მიერ განსაზღვრულია 1160,00 (ერთიათას ასსამოცი) ლარით

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 24 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 24
წინააღმდეგი - 0

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი
განკარგულების პროექტი.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს :

11. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის ქირის საწყისი წლიური საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსი - ეგარსლან ლომაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქ. ბათუმში, ზღვისპირა პარკის ტერიტორიაზე №05.21.20.037 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებული პანორამული ბორბალი უზუფრუქტის ფორმით გადაცემული ჰქონდა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირს „ბათუმის ტურისტულ ობიექტების მართვის სააგენტო“-ს. ვინაიდან განხორციელდა ხსენებული სააგენტოს ლიკვიდაცია, მოახლოებულია ზაფხულის სეზონი, დამსვენებლებისათვის დროული და კომფორტული მომსახურების გაწევის მიზნით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული პანორამული ბორბალი აუქციონის ფორმით გაცემული იქნას სარგებლობაში. კანონმდებლობით გათვალისწინებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებების განხორციელებისათვის უნდა განისაზღვროს პანორამული ბორბალის აუქციონის წესით სარგებლობის უფლებით განსაკარგი ქირის საწყისი წლიური საფასური.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 24 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 24
წინააღმდეგი - 0

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი
განკარგულების პროექტი.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს :

12. „თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების - ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესების დადგენის შესახებ“ თვითმმართველი

ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2010 წლის 15 ოქტომბრის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსი - ეგარსლან ლომაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას 2017 წლის 15 დეკემბერს №02294/9951 (№34412/25) და 2018 წლის 15 იანვრის №02294/9992 (№1179/25) წერილებით მომართა სს „ლიბერთი ბანკი“-ს აჭარის რეგიონალური ფილიალის მმართველმა (ჯემალ ნაკაშიძე) რომელიც აღნიშნავს, რომ სს „ლიბერთი ბანკი“ ემსახურება სახელმწიფო სოციალურ გასაცემლებს. მოსახლეობისათვის მეტი კომფორტის შესაქმნელად საქართველოს უმეტეს ქალაქსა და სოფელს მომსახურებას ახორციელებს მობილური ბანკის ლიბერთი ექსპრესის ავტოსანტრანსპორტო საშუალებებით, მათ შორის ქალაქ ბათუმშიც და აღნიშნული მომსახურების გაწევისათვის ითხოვს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (ჭავჭავაძის ქ. №21; ინასარიძის ქ. №14ა; ჭავჭავაძის ქ. №5; გრიშაშვილის ქ. №12ა; აღმაშენებლის ქ. №30) მობილური ბანკის ლიბერთი ექსპრესის ავტოსანტრანსპორტო საშუალებების განთავსებას. გარდა აღნიშნულისა სხვადასხვა დროს ხდება ქალაქის ტერიტორიაზე სახელმწიფო ან საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების (მათ შორის გადაღებების, ტელე ტრანსლიაციის წარმართვის და ა.შ.) ჩატარება, რა დროსაც ქალაქის გარკვეულ ლოკაციებზე საჭირო ხდება შესაბამისი ტექნიკის თუ სატრანსპორტო საშუალებების განთავსება.

გამომდინარე იქედან, რომ საკითხი ეხება სახელმწიფო სოციალურ გასაცემლებს (ხსენებული მომსახურებით სარგებლობს პენსიონრები, სოციალურად დაუცველი და ასევე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები), ასევე ქალაქის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების ჩატარების ხელშეწყობას, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ შეტანილი იქნეს ცვლილება „თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების – ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესების დადგენის შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის საკრებულოს 2010 წლის 15 ოქტომბრის №25 დადგენილებაში და დადგენილების მე-4 მუხლის 9¹ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი შინაარსის რედაქციით:

„9¹. იკრძალება და პარკირების წესების დარღვევად ჩაითვლება პარკირების საერთო ადგილების გამოყენება გარე ვაჭრობის, ავტოსანტრანსპორტო საშუალებების გაქირავების, სხვა მომსახურების და ნებისმიერი სახით რეკლამის გავრცელებისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როცა პარკირების ადგილების გამოყენება მერიასთან შეთანხმებით ხდება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებებისათვის.“.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 24 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 22
წინააღმდეგი - 0

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს :

13. „თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 14 სექტემბრის №50 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის ქალაქგეგმარების განყოფილების უფროსი - მამუკა რამიშვილი)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 14 სექტემბრის №50 დადგენილებაში (გამოქვეყნების წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, www.matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი: 24/09/2012, სარეგისტრაციო კოდი: 330090020.35.132.016140) შეტანილ იქნას ცვლილება და დადგენილების პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის და „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძველის შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, დამტკიცებულ იქნეს თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ტერიტორიაზე დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესები.“.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 24 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 24
წინააღმდეგი - 0

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს :

14. „ქალაქ ბათუმის გარკვეული ტერიტორიისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებ-

ბულოს დადგენილების პროექტის მოსამზადებლად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის ქალაქგეგმარების განყოფილების უფროსი - მამუკა რამიშვილი)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106¹-ე მუხლის, „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტი - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების“ შესაბამისად,

1. „ქალაქ ბათუმის გარკვეული ტერიტორიისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში დადგენილების პროექტი) მოსამზადებლად დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება.
2. დაევალოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას უზრუნველყოს დადგენილების პროექტის მომზადება და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოსადმი დასამტკიცებლად წარდგენა.
3. დადგენილების მომზადებისა და გამოცემისას გამოყენებულ იქნეს საჯარო ადმინისტრაციული წარმოებისათვის დადგენილი წესები.
4. დადგენილების პროექტის თაობაზე მოსაზრებების წარდგენის ვადა განისაზღვროს დადგენილების პროექტისა და ადმინისტრაციული წარმოების შესახებ ცნობის გამოქვეყნებიდან 30 დღის ვადაში. აღნიშნულის თაობაზე განმეორებით მიეთითოს ასევე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106²-ე მუხლის შესაბამისად გამოქვეყნებულ ადმინისტრაციული წარმოების შესახებ ცნობაში.
5. დადგენილების პროექტის თაობაზე მოსაზრებების წარდგენის ვადის გასვლიდან 5 დღის ვადაში განსახილველ საქმეზე გაიმართოს ზეპირი სხდომა.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 24 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 22
წინააღმდეგი - 2 (მ. ქამადაძე, ლ. ანთაძე)

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი
განკარგულების პროექტი.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს :

15. „მკაცრი აღრიცხვის ფორმების გამოსაყენებლად შემოღებისა და ამ ფორმების ნიმუშების დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2009 წლის 8 აპრილის №8-1 დადგე-

ნილგაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის
სამსახურის ქალაქგეგმარების განყოფილების უფროსი -
მამუკა რამიშვილი)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,

„მკაცრი აღრიცხვის ფორმების გამოსაყენებლად შემოღებისა და ამ ფორმების ნიმუშების დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2009 წლის 8 აპრილის №8-1 დადგენილებაში (გაზეთი „ბათუმური ქრონიკები“ №49, 14.04. 2009წ., გვ: 6-8) შევიდეს შემდეგი ცვლილება:

დადგენილების პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: დამტკიცდეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ გასაცემი მშენებლობის სანებართვო მოწმობის, როგორც მკაცრი აღრიცხვის ფორმის ნიმუში.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 24 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 24
წინააღმდეგი - 0

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი
განკარგულების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე:
თებიძე

სულიკო

ოქმის სისწორეს
ვადასტურებ:

რ. ბოლქვაძე – საკრებულოს აპარატის უფროსი

ვიზირებულია:

ს. შვენთიძე - საკრებულოს აპარატის იურიდიული
განყოფილების უფროსი

მ. თურმანიძე - საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა
და ადამიანური რესურსების მართვის
განყოფილების უფროსი

ოქმი შეადგინა:

მ. წულუკიძე – საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა
და ადამიანური რესურსების მართვის
განყოფილების უფროსი სპეციალისტი

